ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **04** სექტემბერს შეწყვეტილი სხდომის განახლების

ოქმი # 25

დაბა ხარაგაული

05-სექტემბერი 2017 წელი

****

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კ. გოგსაძე, რ. შერგელაშვილი, გ. ლაცაბიძე, თ. ავალიშვილი, ა. მაჭავარიანი, ქ. ზუმბაძე, შ. ლურსმანაშვილი, ი. კელენჯერიძე, ვ.თავზარაშვილი, ი. ლურსმანაშვილი, გ. გოლუბიანი, ა. ფურცელაძე, მ. ვეფხვაძე, გ. თხელიძე, ვ. ჭიპაშვილი, გ. ხიჯაკაძე, , ვ. ტალახაძე, ი. მაღრაძე, მ. ტალახაძე, მ.გელაშვილი, დ. კიკნაძე, ბ. ტალახაძე, ო. გაგოშიძე, ნ. ზურაბიანი, ლ. აბაშიძე,

სულ 26 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ზ. ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები:

ვ. გელაშვილი - მუნიციპალიტეტი გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

მ. ალავიძე- მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

(ჯაბა ბერაძის ნაცვლად)

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

თ. მაღრაძე –ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მ. ბაბლიძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება მიმდინარე წლის 04 სექტემბერს შეწყვეტილი საკრებულოს სხდომის განახლების თაობაზე და ვინაიდან საკრებულოს მიერ წინა დღით დღის წესრიგი უკვე დამტკიცებული იყო, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის მომხსენებელს ვ. გელაშვილს სთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით.

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 ოქტომბრის # 97 და 2016 წლის 22 დეკემბრის # 50/71 განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 ოქტომბრის # 97 და 2016 წლის 22 დეკემბრის # 50/71 განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. მანანა ბარბაქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის # 49 დადგენილების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებისა და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხს. მანანა ბარბაქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/43 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ჯაბა ბერაძე

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის # 50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უზრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ. (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროდ მიიჩნიეს საკრებულოს სხდომაზე მისი წარდგენა და ცნობის სახით მიღება. მისივე განცხადებით ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით არის გარკვეული ხარვეზები, რომელიც არ არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტზე და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ხარვეზები გამოსწორდება.

ა. მაჭავარიანმა, რომელმაც კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, იმის შესახებ თუ რატომ დაიგეგმა ჯარიმებიდან ნაკლები შემოსავლები წინა პერიოდებთან შედარებით.

ვ. გელაშვილმა-დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ჯარიმებთან დაკავშირებული თანხები ბიუჯეტში აისახა იმ რეალური შემოსავლებიდან გამომდინარე, რაც გასული პერიოდებიდან შემოდიოდა ჯარიმების სახით.

კ. გოგსაძემ, რომელმაც, კითხვით მიმართა საკითხის მომხენებელს სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობასთან დაკავშირებით, თუ ვინ აფინანსებს, ვინ განსაზღვრავს მათ სიებს და ვინ აძლევს საშენ მასალებს.

ვ. გელაშვილმა-დასმულ კითვებზე უპასუხა, რომ საშენ მასალებს მუნიციპალიტეტის გამგეობა არ იძლევა, ხოლო დაზარალებულთა დაფინანსებისა და სიების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად მიემართათ გამგეობაში მოქმედი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის შემსწავლელი კომისიისა და სოციალური სამსახურისათვის.

თ. ავალიშვილმა, რომელმაც შემდეგი კითხვებით მიმართა საკითხის მომხსენებელს:

1. ამჟამად რა მდგომარეობაში არის დაბაში არსებული წყლის ტუმბო,
2. რატომ გამოიცვალა წყლის ტუმბო ერთი წლის განმავლობაში,
3. მუნიციპალიტეტიდან გადარიცხული თანხებით, რომელ უბნებში მოიხრეშა შიდა საავტომობილო გზები,

4. 6 თვის განმავლობაში რატომ არ გადაირიცხა თანხა ტაძრის მშენებლობის ფონდში.

ვ. გელაშვილმა-დასმულ კითხვებზე უპასუხა, რომ ხსენებული ტუმბო მისი ინფორმაციით ამჟამად მუშაობს გამართულად, რომლის გამოცვლა თავის დროზე აუცილებელი გახდა დაზიანების გამო, რომელიც აღარ კეთდებოდა. გზების მოხრეშვითი სამუშაოების შემოწმება კი მისი განმარტებით მის უფლებამისილებაში არ შედის და პრაქტიკულად არ აქვს შესაძლებლობა კონტროლი გაუწიოს მას. მისივე განმარტებით ასეთი სამუშაოები უნდა შეამოწმოს სათანადო სამსახურებმა. ხოლო რაც შეეხება ტაძრისთვის თანხების გადარიცხვას განმარტა, რომ თანხებს ასეთ საკითხებზე ურიცხავენ ეპარქიას რელიგიის სააგენტოსთან შეთანხმებით, საიდანაც ჯერ კიდევ არ მოსულა მუნიციპალიტეტში წინათ გადარიცხული თანხებით სამუშაოების შესრულების აქტი.

ი. მაღრაძემ, რომელმაც მოიწონა ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით საგანგაშო მდგომარეობა რომ არ არის და კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს იმის შესახებ, რომ მუნიციპალიტეტში ახალი ბაღების გახსნა, რომელიც ახალი ვალდებულებების აღებასაც გულისხმობს, ხომ არ გამოიწვევდა ხელფასების შემცირებას ბაღებში, ა.ა.ი.პ-ში და ზოგადად საჯარო მოხელეების მიმართ.

ვ. გელაშვილმა-დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ბაღების გახსნის შემთხვევაში ბიუჯეტში არის საკმაო რეზერვი მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ა.ა.ი.პ-იც და ამ მხრივ ხელფასების შემცირება არ მოხდება.

გარდა აღნიშნულისა საკითხის ირგვლივ სხვა აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა, რომლის შემდეგაც საკრებულომ წარმოდგენილი ინფორმაცია მიიღო ცნობად.

მოისმინეს: საკრებულოს სხდმის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 ოქტომბრის # 97 და 2016 წლის 22 დეკემბრის # 50/71განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტატო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. (თან ერთვის).

საკითხზე აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

წინააღმდეგი 0

საკრებულოს სამმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობაში თავი შეიკავა.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნას (თან ერთვის).

კენჭისყრის შრდეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

მოისმინეს: საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის #49 დადგენილების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საკოკკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებისა და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. (თან ერთვის)

საკითზე აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრმა.

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულოს სამმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებულ იქნას (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

მოისმინეს : სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგულებაში ' საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ' ცვლილებების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის)

საკითხზე აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულოს სამმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნას (თან ერთვის)

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგულებაში „ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის)

საკითხზე აზრი არ გამოთქმულა და კითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

საკრებულოს სამმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა.

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნას (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე